# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 402

„16“ აგვისტო 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივლისის №24.1249.1403 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

| | |
|---|---|
| | *დანართი N1* |
| | ქალაქი თბილისი, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1 (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) |

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსუდან დემეტრაშვილი | 01024062892 | სართული 1, ბინა N12 | 27.96 | 01.72.14.013.429.01.012 |
| | | | სართული 3, ბინა N301 | 17.93 | 01.72.14.013.429.01.301 |
| 2 | გივი უგრეხელიძე | 03001018350 | სართული 2, ბინა N210 | 24.17 | 01.72.14.013.429.01.210 |